წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2024 წლის 26 ივლისი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.122.016701. 28/12/2023) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის

„ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტები, რომლებმაც 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო 100%-იანი გრანტი, 2024 წლის (იანვარი – ივლისი) განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ სტიპენდიას 200 ლარს. ასევე ის წარჩინებული პირველკურსელები რომლებიც 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო 100%-იან გრანტს, 2024 წლის (ოქტომბერი – დეკემბერი) განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ სტიპენდიას 200 ლარს, 70%- იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში 150 ლარს, 50%-იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში 100 ლარს.

დახმარების მიღების მიზნით ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, სახელმწიფო სასწავლო 100%-იანი ან 70%-იანი ან 50%-იანი გრანტის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;

ე) საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია.

თანხის ჩარიცხვა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით წარმოდგენილი საბანკო ანგარიშზე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-10 მუხლის 24-ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია სტაციონარიდან გამოწერამდე და დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოადგენს სტაციონარში დავალიანების დამადასტურებელ დოკუმენტს, თანხა აუნაზღაურდება იგივე წესით, წინასწარ წერილის გაცემის გარეშე, სტაციონარიდან

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

დავალიანების შემთხვევაში პაციენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №IV-100/ა;

დ) ანგარიშფაქტურა;

ე) კალკულაცია;

ვ) სტაციონარში არსებული ვალის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

თ) საჭიროების შემთხვევაში ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დოკუმენტის წარმოდგენის ვადად პაციენტს განესაზღვროს არაუმეტეს 10 სამუშაო დღე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თეიმურაზი ჭეიშვილი**